<u>პროექტი</u>

განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტზე „მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 7 ნოემბრის №40 – IIს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი;

ცვლილების მიზანია ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის რეგლამენტის მოთხოვნის შესაბამისად საქართველოს პარლამენტში საპირწონე მუდმივმოქმედი დელგაციის შექმნა, დელეგაციის წევრების რაოდენობის გაზრდის მეშვეობით.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიზანი;

ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენრეგიის გაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებს მე-3 თავის, 410-ე მუხლის შესაბამისად ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის მუშაობის ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი;

საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობები განისაზღვრება 10 ადგილით ნაცვლად ხუთისა.

ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

დადგენილების პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

დადგენილების პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

დადგენილების პროექტი არ არეგულირებს ფინანსურ საკითხებს.

ბ.ვ) დადგენილების პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

დადგენილების პროექტი არ აწესებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობას.

გ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) დადგენილების პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) დადგენილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

ე) დადგენილების პროექტის ავტორი;

საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე

ვ) დადგენილების პროექტის ინიციატორი.

საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე